სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფროსს

შპს „ჯსჯ დეველოპმენტ“ ს/კ: 405170443

დირექტორი ირაკლი კენჭიაშვილი პ/ნ 31001009871

# განცხადება

(თანხმობა)

წინამდებარე განცხადებაზე ხელმოწერით შპს „ჯსჯ დეველოპმენტის“ ს/კ 405170443-ის სახელით, როგორც მშენებელი/დამკვეთი თანხმობას ვაცხადებთ, რომ უძრავ ქონებაზე მდებარე: **ქალაქი თბილისი, ელგუჯა ამაშუკელის ქუჩა, N 23 ს/კ 01.14.16.015.107.01.02.005** , სს ,,ნიკორა ტრეიდმა“ (ს/კ 206255808) თავისი შეხედულებისამებრ, კომპანიის წინასწარი თანხმობის გარეშე, შეასრულოს მიმდინარე და კაპიტალური რემონტი, აგრეთვე მოახდინოს ფასადის ცვლილება/მოპირკეთება (მათ შორის მოაწყოს ღიობები, ვიტრაჟები, კიბეები), განათავსოს სარეკლამო აბრები, საჩრდილობლები, კონდინციონერები და სხვა საჭირო ინვენტარი, აგრეთვე უზრუნველყოს შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოებიდან ნებართვების მიღება.

წინამდებარე განცხადებაზე ხელმოწერით თანხმობას ვაცხადებ, სს „ნიკორა ტრეიდმა“ ან/და სს „ნიკორა ტრეიდის“ ქვემოიჯარემ საჭიროების შემთხვევაში ზემოაღნიშნულ ქონებაზე განათავსოს ბანკომატი ან/და სწრაფი გადახდი აპარატი, ასევე უზრუნველყოს ამ მიზნით უფლებამოლისი ორგანოებისაგან თანხმობების/ნებართვების მიღება

შპს „ჯსჯ დეველოპმენტ“ ს/კ: 405170443

დირექტორი ირაკლი კენჭიაშვილი პ/ნ 31001009871

ორიათას ოცი წლის ცხრა ივნისს, მე, ნოტარიუს ინგა ხარძიანს, ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე ქ. თბილისში, დ. გამრეკელის (კუტუზოვის) ქ. #6 პირველ სართულზე, მომმართა ირაკლი კენჭიაშვილმა. მან წარმოადგინა განცხადება (თანხმობა) და მოითხოვა მასზე თავისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებული დოკუმენტით: **ირაკლი კენჭიაშვილი** - დაბ. 04.10.1980წ. ჭიათურაში, პირადი #31001009871, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი ბახტრიონის ქ. #20 ბ. 29. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედურიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა, მე დავადგინე მისი ნების გამოხატვის ნამდვილობა, განვუმარტე ხელმოწერის სამართლებლივი შედეგები, აგრეთვე ის, რომ ნოტარიუსი არ ადასტურებს აღნიშნულ დოკუმენტში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას და პასუხს არ აგებს წინამდებარე დოკუმენტის შინაარსზე, რის შემდეგაც მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე დოკუმენტს, რასაც ვამოწმებ.

გადახდილია სანოტარო საზღაური თანახმად 2011 წლის 29 დეკემბრის საქართველოს მთავრობის დადგენილება #507, სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ დადგენილების 31-ე მუხლისა გადახდილია 2 (ორი) ლარი (აგრეთვე დ.ღ.გ 0.36 ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა) და 39-ე მუხლისა რეგისტრაციის საფასური ორი ლარი (დ.ღ.გ ჩათვლით), სულ გადახდილია 4.36 ლარი (ოთხი ლარი და ოცდათექვსმეტი თეთრი).

ნოტარიუსი /ინგა ხარძიანი/.

| | |
|---|---|
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი | N200323806 |
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი | 09.06.2020 წ |
| სანოტარო მოქმედების დასახელება | ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება |
| ნოტარიუსი | ინგა ხარძიანი |
| სანოტარო ბიუროს მისამართი | ქ. თბილისი, დ. გამრეკელის (კუტუზოვის) ქ. #6, პირველი სართული |
| სანოტარო ბიუროს ტელეფონი | 2308930; მაგთი ფიქსი: 790761651; მობ: 599502834; |
| სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი | 73709021570520 |

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18